პარიზი. ლვინობისთვეს 2. „ტ ნის“ ცნობით ოსმალეთს ხელშეკრულების ძალით არ შეიძლება ყავდეს 15 ათაზე მეტი ჯარი. ქემალისტების დასაცხრომად ფიქრობენ ჯარის მოკავშირე სახელმწიფოთა ოფიცრებით შეკ...ებას. ანატოლიიდან ცნობაა, რომ მცხოვრებელები სამოქალაქო ომით დაღლილნ და მზათ არიან ყოველგვარ დათმობაზე, თუ სტამბოლის მთავრობა მათზე ამნისტიას გამოაცხადებსო.

ლტოლვილი წითელ არმიელები.

„ტანი“ ბეჭდავს კენიგსბერგიდან მიღებულ კორესპონდენციას აღმოსავლეთ პრუსიაში არსებულ შიშიანობის შესახებ. შიშიანობას ის გარემოება იწვევს, რომ წითელი არმიელები გაიქცნენ საკონცენტრაციო ბანაკიდან და ყაჩღთა ბანდა შეადგენს. იმავე გაზეთის ცნობით საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ბერლინში ვიქტორ კოპმა გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს პროტესტი განუცხადა ს ზღვრზე გადასულ რუს ჯარის კაცთა ბანიარაღებისათვის-

ეკონომიური რეფორმები.

რომი. ლვინობის 1. „ავანტი“ ბეჭდავს თავის რედაქტორის სერატ ს შთაბეჭდილებას პეტერბურგს შესახებ სერატი სწერ: პეტროგრადში ცხოვრება მოდუნებულია, ეკონომიაში ბალახია, პუტულოვის დიდი ქარხანაში სასაფლაოს მოგაგონებს. მუშათა შორის გავრცელებულია მაჰმადიანური ფატალიზმი: ყველაფერი თავის თავად გაკეთდებაო. „სეკოლო“ ამ ცნობებს იმასაც დასძენს, რომ მცხოვრებთა რიცხვმა ორი მესამედით იკლო. არაა არც ერთი რესტორანი არც ერთი კაფე. არსებობს მხოლოდ 300 სახალხო სამზარეულო. ქეჩები ცარიელია. მიუხედავათ საშინელი გაჭირვებისა პეტროგრადში ახალმა მდიდრებმა იჩინეს თავი. სპეკულანტებიდან და საბჭოთა მოსამსახურეთა წრისაგან...

სომხეთ ოსმალეთს ომი.

სადარბაზოდ.

ლვინობისთვის 11 ს დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთისა წარუდგა საქართველოს მთავრობის თავჯდომარეს ბ ნ ჟორდანიას და ჰქონდა მათთან ხანგრძლივი ბაასი იმ საკითხებზე, რომელიც დაკავშირებულია სომხეთში მობილიზაციის გამოცხადების საკითხთან და მიმდინარე საკითხებზედ.

—

ლვინობისთვის 12-ს სომხეთის დიპლ. წარმომადგენელმა ინახულა დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი პოლკ. სტოქსი.

—

ლვინობისთვის 9-ს საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენელმა პოლკ. კორბელმა ინახულა სომხეთის დიპლომ. წარმომადგენელი.

—

ლვინობისთვის 9 ს საღამოს სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ინახულა პოლკ. ლეგრანი, სომხეთში გამგზავრების წინ.

ეშელონების გამგზავრება.

ლვინობისთვის 11-ს ფრონტზე გაემგზავრა პირველი ეშელონი სომხის ჯარისა. სადგურზე ეშელონი გააცილა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელმა.

ლეგრანის ჩამოსვლა ერევანში.

ლვინობისთვის 11 საგანგებო მატარებლით ერევანში ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი სომხეთში ლეგრანი. ლეგრანთან ერთად ჩამოვიდა მრავალრიცხოვანი საბჭოთა მთავრობის მისია, რომელთაც სადგურზე მთავრობის წარმომადგენლები შეხვდენ.

ნიკო თავდგირიძე

ფიქრები და დაკვირვებანი

2.

თანამედროვე წყობილების მთავარი მამოძრავებული ძალა არის საკუთრებაზედ, კერძო სარგებლობა მოგებაზედ დამყარებული ინსტიკტი, ამ გრძნობის გაზვიადებული ვარჯიშობა, და მისი ადამიანთა საერთო ცხოვრებისათვის მავნე შედეგების შესუსტება, შეკვეცა უნდა ხდებოდეს სათუთი გავლენით, წინდახედული მოქმედებით. თუ ეს თვისება სუსხი მოპყრობით შეფერხდა, ადამიანის ენერგიისათვის საჭირო წამხალისებელი ძალა იჩაგრება, ისპობა; ეს კი ძალა-უნებურად იწვევს თვით-მოქმედების შესუსტებას, თანდათანობით მოსპობას ამ ბოლო ხანებში ამ პროცესს უკვე ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში.

ჩვენებური ქალაქების მდგომარეობის დამცირების და დაქვეითების საქმეს მარტო არსებული წესი „რეკვიზიციების“ და წართმევა—წაგლეჯის მდგომარეობელ წრეების მხრივ კი არ უწყობს ხელს: ქალაქების განვითარების საქმეს ძლიერ აბრკოლებს მოქალაქეთა უმთავრესი პრივილეგიის—თვითმართველობის პრინციპის ფაქტიური გაუქმება: გარდა კერძო ინსტინკტისა, საზოგადოებრივ საქმის განვითარებას ძლიერ ხელს უწყობს თვით საზოგადოებრივი ინსტინკტი უნარი და ნიჭი მცხოვრებთა უმრავლესობის შეხედულება—განწყობილების, თანახმად არჩეულ მოთავე პირთა.

ამ ახალ დროში, როცა კუდიანი საარჩევნო წესი უმთავრეს ძირითად კანონად ითვლება ჩვენს რესპუბლიკაში, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ქალაქს ნამდვილი, მცხოვრებთა უმრავლესობის მოთხოვნილების შესაფერი არჩეული წარმომადგენელი არ ჰყავს. მართალია, საყოველთაო არჩევნების წესი ისეთია, რომ ვინც მეტ ხმას მიიღებს, ის ითვლება ხალხის უმრავლესობის არჩეულად, მაგრამ არავისთვის დაფარული არ არის ის სინამდვილე, თუ როგორი ხერხით და თვალთ მაქცობით ეწყობა ჩვენში ყოველივე საარჩევნო კომპანია: უპირველესი მნიშვნელობა. აქვს პარტიას, მის ჯგუფურ ინტერესს, ვიდრე პირადობას, მის საქმისათვის საჭიროებას: ცოდნას, გამოცდილებას.

თუ საერთო პოლიტიკურ წყობილებისათვის საჭიროა ხშირად ასეთი, ცალმხრივი შეხედულებით არჩეული წარმომადგენლები, ქალაქის და ერობის თვითმართველობათა ნორმალური მოქმედებისათვის ეს წესი ყოვლად შეუწყნარებელია. მთავრობის წევრი—მინისტრი შეუძლებელია, რომ უმრავლესობის ნდობით არ იყოს აღჭურვილი, მართალია, მთავრობას ყოველთვის შესწევს იმდენი ძალა, რომ უმრავლესობა დაიმორჩილოს და ხალხის მართვა-გამგეობა „გამორკვეული გეგმის თანახმად მოაწყოს. მაგრამ თვითმართველობის წარმომადგენელი უსათუოდ ხალხის უმრავლესობის განწყობილება—თანაგრძნობაზედ უნდა ემყარებოდეს, უამისოდ ის ვერავითარ საქმეს ვერ გაკეთებს.

მართალია, ეხლანდელი არჩეული კაცებიც უმრავლესობის წარმომადგენელად სთვლიან თავს, მაგრამ საქმის გასაკეთებლად საჭიროა ნამდვილი, ფაქტიური, საგრძნობელი დახმარება—ხელის გაწყობა და არა მშრალი სიტყვის ნაკადული. მართალია, მუშების წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ ხმა ყოველ დაწესებულებაში, მაგრამ, როგორც სახლი არ აშენდება მარტო მუშების შემწეობით, თუ მასალა და ფული არ არის შეგროვებული, ისე არც ერთი საქმე არ გაკეთდება ცხოვრებაში, თუ ძეთანმხებით, თანაბარად არ მოქმედობენ კაპიტალისა და შრომის წარმომადგენლები—ამ ჟამად კი მცხოვრებთა ერთი მნიშვნელოვანი და საგრძნობი ნაწილი, სრულიად მიეწყვებული, გარიცხულია. ამ ანორმალურ მოვლენას, რა თქა უნდა, საბედისწერო გავლენა აქვს თანამედროვე საქმიანობაზედ ვერც ერთი თვითმართველობის გამგეობა ჩვენში ეხლანდელ პირობებში კაპიტალის მქონე და საქმის გაკეთებაში დახელოვნებულ ეცოდნე ჯგუფს ვერ იკრებს, ვერ იახლოებს; ეს კი დიდ ზიანს აყენებს თვით საქმეს. თვით-მართველობა არის თავისუფალი ნების ყოფით თანამშრომლობა ყველა საზოგადოებურ სლემენტებისა: ძალადობა—წაალმდეგობა, გარეშე გავლენით რამე გადაწყვეტილების თავზედ მოხვევა შეუფერებელია თვით-მართველობის პრინციპისათვის ამ ჟამად კი ყოველივე მნიშვნელოვანი გადაწყეტილება ჩვენებური თვით მართველობის მუდმივ უკმაყოფილება—უსიამოვნებას იწვევს მცხოვრებთა საგრძნობელ ნაწილში. ამ პირობებში კი შემოქმედებითი, ნაყოფიერი მუშაობა ყოველად შეუძლებელია.

ერ. დემ. სტუდ. და მოსწავ. მთავარ კომიტეტის ცნობა.

—

მოსწავლეთა ყრილობა.

დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 6 საათისათვის ეარტიის მთავარ ბიუროში დანიშნულია, თბილისის ერ. დემ. მოსწავლეთა მცირე ყრილობის მესამე სხდომა.

ახალამბები.

სამ—ბი:

— შინაგან საქმეთა სამინისტროში. ახალი საოფთიაქო ნიხრი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობ ს დეპარტამენტი აცხადებს, რომ მის მიერ დამტკიცებულია ახალი საოფთიაქო ნიხრი, რომელიც ოქტომბრის 15-დან შევა ძალაში. აფთიაქების გამგენი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შეიძინონ საოფთიაქო ნიხრი. ნიხრის შეძენა შეიძლება ჯანმრთელობის დეპარტამენტში.

— შრომის სამინისტროში. მუშათა მაგდა აცხადებს ამით იმ პირთა სიას, რომლებიც ხელოვნურად გადიდებულ პურის რაციონს იღებდენ: ე. წივწივაძე, ელენე ასათიანი, ვახტანგ გარაკანიძე, შალვა გიორგაძე, პავლე კურპატოვი, ნინა გიორგაძე, მიტელ-მაერი, ნატალია ალავიძე, რობერტ ანდრიასონი, ვალერიან ზდანევიჩი, ნინა მეჩერიკოვა, ქეთევან ყანჩაველი, მარიამ ჭრელაშვილი, ვალერიან გაგნიძე, ბორის ბერიძე, მელანია წერეთელი, ზემოაღნიშნულ პირთ პური აღარ მიეცემათ ისინი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი. და მატებითი სია ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული.

— ჯამაგირების თავის დროზე დარიგება. შრომის სამინისტრომ ფოსტა-ტელეგრაფის გამგეს წინადადებით მიმართა ჯამაგირების თავის დროზე დარიგების შესახებ. თხოვნა გამოწვეულია მოსამსახურეთა განცხადებით რომელთაც ჯერ აგვისტოს დამატებაც კი არ მიუღიათ. შრომის სამინისტრო აღნიშნავს რომ ჯამაგირის დროზე მიუცემლობა მუშა მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობაზე ცუდ გავლენას ახდენსო.

შინაგან საქმეთა მინისტრის ჩამოსვლა. ლვინ. 12 ს ტფილისს დაბრუნდა და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი.

ერო - ბი.

— ერობათა კავშირი. ლვინობ. 12, ერობათა კავშირის კომიტეტი ინახულა პროფ. დებრიუკერმა. კომიტეტის წევრთა შეერთებულ სხდომაზე დებრიუკერი არკვევდა ერობის თვითმართველობის თვისებებს რესპუბლიკაში.

სხვა და სხვა

— სასურსათო საქმე. რკინის გზის მოსამსახურეთა სასურსათო განყოფილებამ ითხოვა გადაეცეს მას ჩაქვასა და ნატანებს შორის მდებარე მამული საცდელ ბაღის მოსაწყობად.

იგივე სასურსათო განყოფილება ხსნის 1—2 თვიან მოანგარიშეთა უფასო საღამოს კურსებს. ამ კურსებზე მიიღებენ 4-ხი კლასის კურს დასრულებულთ.

— ფოსტა ტელეგრაფის განყოფილება. სოფელ ალპანაში (ლეჩხუმის მაზრა) გაიხსნა ფოსტა ფელეგრაფის განყოფილება.

— ხახვით მომარაგება. მუშებისთვის და მოსამსახურეთათვის მისაწოდებლად მუშათა მაგდიამ ბორჩალოს მაზრაში დიდ ძალი ხახვი შეუკვეთა. ამავე მაზრაში მზადდება შეშა მუშათა მაგიდისათვის.

სატარიფო პალატაში. სატარ ფო პალატამ ოქტომბრის 11 სხდომაზე დაადგინა; 1) დამტკიცოს ადგ ვ ძველი დადგენილება ჯამაგირების უკანა რიცხვით მომატების აკრძალვის შესახებ. 2) თუ დაწესებული ტარიფი განსაჩივრებულ იქნა მაშ ნ ორივე მხარეს ეცნობა ახალი ტარიფი: 3) დაწესებულ ტარიფის შესწორება შედის ძალაში იმ დღიდან, რა დღ საც სატარიფო პალატა აცნობებს მას უკმაყოფილების გამომცხადებელთ. ამის გამო ჟიათურის მაღაროებში მიმუშავ თა მუშების შესწორებული ტარიფი შედის ძალაში ამა აგვისტოს 1-დან, რ ...გორც მუშები მოითხოვენ არამედ აგვისტოს უკანასკნელ რიცხვიდან. ამავე სხდომაზე სატარიფო პალატამ დაამტკიცა მუშათა მაგიდის დადგენილება მომარაგების ფონდში ყოველ მუშაზე და მოსამსახურეზე დამატებითი 3000 მანეთის შესახებ. შემდეგ გამოითქვა სურვილი მუშათა მაგიდის თვიური დეფ ც ტის გამორკვევის შესახებ, დ ...ა რულ დადგენილ იქნა მექისეთა ტარიფი.

— უპატრონო გვამ. 11 ამა ოქტომბერს საღამოს 8 საათზე მე 9 კომისარიატის უბანში, კირკის ქუჩაზე სახლი № 49 ეზოში ნაპოვნი იყო უცნობი კაცის გვამი, რომელსაც ფეხები დახერხილი ჰქონდა და ტანი და ფეხები ცალ ცალკე ტომრებში იყო შეხვეული. ნიშნები შემდეგი: შუა ტანისა, შავგრემანი, თმა დიდი, ულვაშები გადაპარსული. თუ გამოუჩდება ნათესავები გთხოვთ მიმართოთ მე 9 უბნის კომისარს.

— კლუბ რესტორანების დახურვის განზრახვა. პროფ. კავშირთა სეკრეტარიატმა სასურველად იცნო დაიხუროს პირველ ხარისხის რესტორან-კლუბები და მათ მაგიერ საზოგადო სასადილოები გაიხსნას.

— მრლის მილი. ფეოდოსიიდან, ფოთში მოვიდა გემი მარილით სასურსათო ნაწილის სახელზე 80,000 ფ ...ი, რომელიც უკვე ჩამოიღ...ს ...ბ...ბ...ბ... მარილი 15 ლვინობისთვეს ...ბა ვაგონებში.

— ხლითონის სახელმწიფო მამულების გამგეთ დაინიშნა გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის რწმუნებული ჩაჩიბაია.

— სომეხთა ლტოლვილნი. ლვინობისთვის 12 ბაქოდან სალოლში მოვიდა 12 ვაგონი სომეხ ლტოლვილნი, რომელნიც სომეხთა დიპლომ. მისიის წარმომადგენელის ექ. არუთინიანის თხოვნით გადაყვანილ იქმნენ სანაინში.

— მატარებელის დამსხვრევა. მატარებელი № 136 სად. ნავოლუს რომ გასცილდა, ტენდერი ლიანდაგს გადასცდა. 5 ვაგონი გადაიტანა მათ შორის 2 ვაგონი ნაფოტად იქცა უბედურება კაცის თავს არ მომხდარა.

სვეტიცხოვლიგა.

კათალიკოსის წირვა.

დღეს დილის 8 ს. საგანგებო მატარებელით გაემგზავრება მცხეთას სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი მათი უწმინდესობა ლეონიდე რომელიც შეასრულებს წირვას მცხეთის ათორმეტთა მოციქულთა ტაძარში, მათი მეუფების ურბნისის ეპისკოპოს დავითისა და ადგილობრივ კრებულის თანამწირველობით. წირვის შემდეგ მათი უწმინდესობა გადიხდის სამადლობელ პარაკლისს და შეასრულებს ლიტანიას, რის შემდეგ დაათვალიერებს მცხეთის სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტერს და მასთან არსებულ სკოლას.

ზედმეტ მატარებლების დანიშვნა.

რკინისგზის გამგეობის განკარგულებით მცხეთობის დღესასწაულის გამო დანიშნულია ზედმეტი 5 წყვილი მატარებელნი, რომელნიც შემდეგ საათებში მიმოვლენ თბილის მცხეთას შუა: თბილისიდან: 1) დილ. 6 საათსა და 56 წუთზე, 2) 8-ს 25 წ. 3) 12 საათზე, 4) 2 საათზე და 7 წ. და 5) 4 ს. და 25 წ. დღისით-მცხეთიდან: 1) 9 ს, 58 წ. 2) 10 ს. 57 წ. 3) 2 ს. 8 წ. 4) 4 ს. 26 წ. და 5) 8 ს. საღამოთი.

ფასების გადიდება.

მიუხედავათ იმისა, რომ ამ დღისთვის ყოველ წელს რკინის გზის გამგეობა აიაფებდა მიმოსვლას, რომ ხალხს შეღავათი მისცემოდა ამ ისტორიული ტრადიციულ დღესასწაულზე დასწრებისა, წელს რკინის გზის გამგეობას ამ მატარებლებზე ფასები მეტისმეტად გაუთვირებია,—ასე რომ პირველი კლასი ღირს 300 მ. მეორე 250 მ., ხოლო მესამე—200 მან.

სამეცნიერო ექსკურსია.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ინიციატივით წელს ზაფხულს მოეწყო საქართველოში სამეცნიერო ექსკურსია საზოგადოების საბჭოს წევრთა, რომელნიც უკვე დაბრუნდნენ თბილისში. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. და საბჭოს წევრს გ. ჩუბინაშვილს შემოუვლია ქართლ-კახეთი.

ამავე უნივერს. პროფ. და საბჭოს წევრს პროფ. შანიძეს სვანურ ენის გამოსაკვლევად შემოუვლია სვანეთი.

უნივ. პროფ. და საბჭოს წევრს ექვთ. თაყაიშვილს შემოუვლია იმერეთი და რაჭა. საბჭოს წევრს და მდივ. სერგ. გორგაძეს უმოგზაურია ზემო ქართლში და ზემო იმერეთში, უმთავრესად საეტნოგრაფიო მასალის შესაგროვებლად და ქართულ იმერულ კილოების გამოსაკვლევად, ამავე საზოგადოების დავალებით სტუდ. შ. ამირანაშვილს უმოგზაურნია ზემო იმერეთში სარქიტექტურო და სამხატვრო ნაშთების შესასწავლად და გამოსაკვლევად.

ვატარა ფელეტონი

უტილიზაცია.

ყოველი მეურნეობის მთავარი ძარღვი არის მომჭირნეობა და ყველაფრის გამოყენება საქმეში.

ეს დებულება კარგად შეუგია ზესტაფონის ქალაქის თავს, რომელსაც ქალაქის ვრცელს ტერიტორიაზე გამოუსადეგრად არაფერი დარჩენია. როგორც იტყვიან, ქვიდან ზეთი გამოჭყავს.

ამ მოსაზრებით დასოციალ დემოკრატიული ფრაქციის თითების ლოცვა კურთხევით ქალაქის თავმა შეიძინა სამი ბედაური, რა ფასათ არც თვითონ იციან, რომელთა შესანახად ხმოსანთა საბჭომ გადასდო 22,500 მან. თვეში. ამ ბედაურების მომვლელებათ საგანგე-

ბოდ გამოაწერა საფრანგეთიდან ორი მეჯინიბე, რომელნიც ღებულობენ თვეში 12,000 მანეთს.

საპჭოს სხდომაზე ქალაქის თავმა ამ საგანზე გაკეთა ვრცელი მოხსენება, ილაპარაკა მთელი ოთხი საათი და არამორწმუნე ხმოსნებსაც [illegible] მათემატიკურად უმტკიცებდა ამ გეგმის სარგებლიანობას და აღუთქვა, რომ ის, ქალაქის თავი, თავის სიცოცხლეში, ე. ი. ამ წლის ბოლომდე, ბედაურების საშვალებით ზესტაფონის ქუჩებს და მოედანს პარიზის ქუჩების მსგავსად მოჰკირწყლავს და დაასუფთავებს.

გზა კეთილიო-უთხრეს თორმეტმა მეკამეტეს.

რა ვიცოდით, რა გვეგონა,
რომ ეს კარგი დაპირება,
დაპირებად დარჩებოდა!...

ეს იყო მაშინ.... საღამოს ჟამსა..... ცაზედ მთვარე კაშკაშებდა,... მაცოცხლებელი სიო უბერავდა.... ჩვენ კი პაწია ნესტიან ოთახში, პაპანაქება სიცხეში, სულს ძლივს ვიბრუნებდით, მაგრამ მაინც გულმოდგინედ ვისმენდით ქალაქის თავის გრძელსა და დაღმაფრენით აღავსე სიტყვას, დარწმუნებული, რომ ახალგაზდა რესპუბლიკის აღმშენებლობაში ჩვენი წვლილიც შეგვქონდა. ეს იყო ხუთი თუ ექვსი თვის წინეთ....

დრო გარბის; ქუჩე'ი დღითი—დღე ფუჭდება; მოედანზე მხოლოდღა ოჩოფეხით შეიძლება გავლა. ქალაქი ნაგავში იხჩობა... მაგრამ, ეჰ.....

რა კარგია ოცნება.

რომ ის აღსრულდებოდეს!...

დროის სიჩქარის გამო ქალაქის თავმა თავისი ბედაურებითაც ვერაფერი მოიხსწრო. რა მტარვალი რამეა ეს დრო!.. ნეტა, სად მიეჩქარება?... ნუ თუ არ შეიძლება მისი შეჩერება დეკრეტით?... რით იმართლოს თავმა თავი ამმრჩევლების წინაშე განკითხვის დღესა, რომელიც მოახლოვებულია?...

მაგრამ, როგორც გავიგეთ, თავს თავიანი გასამართლებელი საბუთი ბევრი ჰქონია. ამა, რის სოციალ-დემოკრატი იქნება, თუ თავს ვერ გაიმართლებს უ ა ბუთო საბუთებით!..

თურმე ქალაქის თავს უკვე დაუმზადებია თავის ამომრჩევლებისათვის მოხსენება, რომლიდანაც მოგვყავს ძმოავრესი მოტივები: თუმცა ხუთი-ექვსი თვეა ცხენები შეიძინეს და მაინც ვერაფერი გააკეთეს, მაგრამ საბჭოს მიერ გადადებულ თანხიდან ეკონომია გაკეთეს და ეს მოხდა იმ ს ჯამო, რომ ქალაქის თავს თავის ლაბარატორიაში გამოუკვლეია მდ. ყვირილის ჭიყის თეთრი ქვები და აღმოუჩენია რაღაც ქიმიური ნივთიერება, რომელიც თურმე ძალიან ასუქებს ცხენებს; ამ ნივთიერებით გასუქებულ ცხენების ნაკელი ჰაერს ძალიან წმენდს და ვენახს განსანოყიერებლად ხომ მისწრება ყოფილა.

ამ აღმოჩენით უსარგებლია ქალაქის თავს; ცხენები დაუბამს მდ. ყვირილის პირათ, მისი უფასო რიყის ქვებით ისე გაუსუქებია, რომ ფეხებზე ვეღარ დგებიან; მათი ნაკელის სიმჭაფეს ჰაერი ისე გაასუფთავა, რომ არავითარი სნეულება მოსალოდნელი არ არის, რის გამო ქალაქის თავმა გადამდებ სენით ავათმყოფთათვის ძლივს-ძლივობით შეძენილი ბარაკიც დაშალა, რითაც ხარჯები

ჩვენი ზღვა

(გაგრძელება)

ბ. პირველი ქართული ფლოტი და საზღვაოსნო სასწავლებელი.

როგორც ყოველივე საძენელო საქმე უნდა დაიწყოთ მცირეოდენი ფორმიდან და შემდეგ თანდათან განვითარდის და ავიდეს დიდ ს მაღლეზე, ეგრეედვე საზღვაო საქმეც უნდა დაიწყოს მცირე მასშტაბიდან და თანდათან მიიღოს უფრო სრული და რთული ფორმები. ამ მხრით „ტარიელი", „ავთანდილი" და სხვა საომარი გემების შექმნით, მცირეოდენი საომარი ფლოტილიის მოწყობით და ფოთის საზღვაოსნო სკოლ ს დაარსებით სახელმწიფომ უკვე მისცა ჩვენში საზღვაო საქმეს სასურველი დასაწყისი... ჯერ კიდევ ამ ნორჩმა საომარმა ფლოტილიამ საკმარისად აგრძნობინა შარშან დენიკინელებს თავისი ძალღონე და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში, როდესაც ჩვენი საომარი ფლოტილია მიიღებს სრულს განვითარებას, როდესაც საქართველო შექმნის ნამდვილს საომარს ფლოტს, მაშინ კი ჩვენი სახელმწიფო უზრუნველჰყოფს თავის საზღვრებს გარეშე მტრების თავდასხმისაგან.., ჯერ კიდევ ნორჩმა ფოთის საზღვაოსნო სკოლამ ამ ზაფხულში გაგზავნა თავის შეგირდები საზღვარ-გარეთულ სხვა და სხვა გემებზე პრაქტიკის მისაღებად. ტურმანების, ბოცმანების, მატროსების და სხვა მოვალეობათა შესასრულებლად და ამ სკოლის შეგირდები ოკეანეთა სხვა და სხვა კუთხეში. ხოლო

შეამოკლა და უმთავრესი რაცაა, ამ ცხენების ნაკელით ჯერჯერობით თავისი ვენახი გაანოყიერა. შემდეგში, მაგრამ ისევ თავის სიცოცხლეში, ქალაქის თავი გვპირდება ამ ცხენების ტყავი გატენოს და მით თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის აღსანიშნავათ შეამკოს საბჭოს დარბაზი, ე. ი. თავისივე ხელით აპირებს ხელთუქმნელი ძეკლის დადგმას, რომ ქალაქს ხარჯები არ მოუვიდეს.

აი, ამის ჰქვიან უჭილიზაცია!

მისი ამომრჩევლები, მგონია, ამ მოხსენებით დაკმაყოფილდებიან და გადავლენ შავი კენჭების დათვლაზე.

ზესტაფონის ეროვნულ-დემოკრატები მეტის მეტი დაუდევარი ხალხი; სიმღერის მეტი არაფერი აასოვთ; მუდამ ახალ-ახალი სიმღერის თხზვაში არიან.

ახლა გამოუგონიათ ახალი სიმღერა ნარიმანას ხმაზე:

უტი, უტი, უტი, ნოე,
უტილიზაციას,
თორემ უზამ შავ კენჭებსაც
უტილიზაციას!.....

მანგანი:ნი.

ალი ფაშა თავდგირიძე.

ყველა კაცისთვის ჭდიდად საძრახისი უნდა იყოს სამშობლო ქვეყნის ღალატი. თქმულება არის, რომ კაცს ყველა შეცოდებანი მიეტევება და ქვეყნის, ანუ სამშობლოს ღალატს კი არა ეშველება რაო, მისი წამალი ძნელი საპოვნელიაო. ამიტომ გვინდა ამ წერილით შევეხოთ ალი ფაშა თავდგირიძეს, ვინაიდგან მას ქართველ მაჰმადიანთა შორის მოღალატეს სახელი აქვს დამსახურებული. დროა, რომ დღეს, ამ გარემოებას, მეტი სინათლე მოეფინოს. მართლა ალი ფაშა თავის სამუსლიმანო საქართველოს მოღალატე იყო თუ არა? ამას ჩვენ მით უფრო ვსაჭიროებთ, რომ ქართველ მაჰმადიანთა შორის დღეს უკვე საკმარისი რიცხვი გამოჩნდა ისეთი კაცებისა, რომელთა სული და ძვალი საქართველოს სიყვარულით უცემთ მათ უკვე შეიგნეს ის გარემოება, რომ იგინი არიან მარტოოდენ სჯულით მუსლიმანები, ხოლო ტომით, ქვეყნით და ენათ-კი ქართველები. და აი, მათთვის საინტერესოა გაშუქებული იქმნეს, თუ ვინ იყვნენ მათ ცხოვრებაში ნამდვილი მამულიშვილები, ან მოღალატენი.

ალი ფაშას მოღალატეს სახელი დაუგდეს და ისიც თავის სამშობლო საქართველოსი, ანუ სამუსლიმანო ქართველების შესახებ, ეს ამბავი და ღალატი ალი ფაშაზე ისე გავრცელდა, ისე მოედო მთელს სამუსლიმანო საქართველოს, რომ 1818 წ. ქობულეთელ და აჭარელთ სახალხო მელექსეებმა მას ლექსიც გამოუთქვეს. აი თვით ლექსიც:

ხვანთქარი და რუსი ჩხუბობს,
იგი არის ორივ ეში,*)
*) ეში—დიდი სახელმწიფო.
ალი ფაშამ გვიღალატა
აგვიყვანა კვირიკეში **)
**) სოფელი ქობულეთი.
თითონ ფულები აიღო,
ჩვენ ჩაგვყარა რუსის ხელში,
მასაც კაი არ დამართეს
ბაწრით ჩაათრიეს გემში
მისი ყვირილი გვესმოდა,
სუფსის გაღმა ბაილეთში. ***)
***) ბაილეთი, ძველად ბასილეთი სოფელია.

ლექსის შინაარსი მოწმობს, რომ ალი ფაშამ რუსებისაგან ფულები აიღო და მის მაგიერ ჩვენ რუსის ხელში ჩავვყარაო, ეს საყვედური უბრალო რამ ამბავი არ არის. ამის გარკვევა უნდა, ხოლო ამის გარკვევის ნებას ჩვენ არვინ მოგვცემდა.

სწორედ ეს იყო მიზეზი. რომ თვით მეც კი ალი ფაშა გაზ. „ივერიაში" და „ცნობის ფურცელში" მოღალატეთ მოვიხსენე, ამაზე ცალკე წიგნიც დავბეჭდე; სახელდობრ:—„ალი ფაშა თავდგირიძე და მისი ღალატი" და აქაც ეგი მოღალატეთ გამოვიყვანე. ეხლა ვასწორებ შეცდომებს და მომყავს სხვა და სხვა ცნობები და მსჯავრის დადება თვით მკითხველისთვის მიგვინდია, მათ მიუძღვნან განაჩენი, თუ მართლა ალი ფაშა მოღალატე არის თუ არა?

ალი ფაშა ქობულეთელი ბეგის შვილია. ამის ძმები იყვნენ ოსმან ფაშა, ჰუსეინ ფაშა, და პ. ჰასინ ფაშა, ჰასინ ფაშამ სახელი გაითქვა 1855 წ. ყირსის ომის დროს, ამ ომში მოკლეს იგი. რუსებმა თავი მოსჭრეს, სპირტში ჩადეს, ქუთაისში გამოგზავნეს და ხალხს უჩვენებდენ, ამ ფაშის უნცროსი ძმა იყო ალი ფაშა, 1877 წ. ოსმალოს მთავრობამ მას მისცა ქობულეთის ჯარია მეთაურობა.

ზოგიერთ პირებმა და უფრო კი ალი ფაშას პირად მტრებმა შარი მოუდეს და იმ დროის ბათომში მყოფ, ოსმალოს მთავარ სარდალს, დერვიშ ფაშას ცნობები მისცეს, რომ ალი ფაშა ოსმალოს ჯარს ფულსა და ტანთ საცმელს ჰპარავსო. დერვიშ ფაშამ დაიბარა ალი ფაშა და ჰკვედრა:

— შენ ქართველი ხარ, მიტომ შენ თვალი და მხარეც ქართველებისაკენ გიჭირავს. იქითკენ იყურები, ამიტომაც ოსმალოს მთავრობას და ჯარს ტანთ საცმელს და ფულსა ჰპარავო.

ალი ფაშამ თავი იმართლა, მაგრამ მისი გამგონი არავინ იყო. ეს ამბავი გავრცელდა ხაისში და ქობულეთელ მელექსეებშიც. მიტომ მიუძღვნეს მას ზემოდ მოყვანილი ლექსი, ამ გარემოებას ისიც დაერთო, რომ დერვიშ ფაშამ თავის მთავრობას შეატყობინა, ალი ფაშა რუსებს ემხრობაო.

ერთის მხრით ეს ამბავი მართალი ყოფილა და როგორც მიამბო ყოველთა უპატიოსნო ცნობილმა გრიგოლ გურელმა, მართალი ყოფილა, ალი ფაშას სდომებია საქართველოსთან შემოერთება და შემოკედლება, ეხლა მკითხველმა განსაჯოს თუ ალი ფაშას შემოერთება თავის სამშობლო საქართველოსთან ღალატათ უნდა ჩაითვალოს თუ ზნეობრივ მოვალეობათ, ალი ფაშა თავდგირიძე გრიგოლ გურიელსაც ასე ეუბნებოდა თურმე:

— ბატონო გრიგოლ, თქვენ ჩემი ნა

როდესაც ეს სკოლა საკმარისად გაიზრდება და მას ექნება ყველა კლასები, როდესაც მას ეყოლება თავისი სავაჭრიო გემები, რომლებითაც ზაფხულობით იმოგზაურებს სხვა და სხვა ქვეყნებში, როდესაც ამ სკოლასთან დაარსდება პანსიონი, სადაც შეგირდები შეეჩვევიან სოციალურ ცხოვრებას, ფიზიკური შრომით თავის რჩენას, შეეჩვევიან წესიერებას, მაგარ დისციპლინას, როდესაც ამ სკოლასთან გაიხსნება მეხანიკური სახელოსნო, სადაც თვითონ შეგირდები შეის

ჩვენი კორესპონდენტები

ქ. ზესტაფონი.

ამ დღეებში აქ შეხდგა შორაპნის მაზრის ყველა ტიპისა და საფეხურის მასწავლებელთა ყრილობა. ყრილობის საგანს შეადგენდა მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი. ყველა ორატორებმა აღნიშნეს უწყვეტრივალეს წერტილამდე მიყვანილი უმწეო მდგომარეობა მასწავლებლისა და დაასაბუთეს ის ზომები, რომელიც სასწრაფოდ უნდა იყოს მიღებული მათ გარდუვალ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ ყრილობა ერთხმად მიემხრო იმ პასუხს, რომელიც მთავრობის თავჯდომარემ ბ. ჟორდანიამ მისცა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის დელეგატებს ამ ორი კვირის წინად ე. ი. თავი შეიკავონ გაფიცვის მოხდენაზე, ვინაიდან ამ მოკლე ხანში მასწავლებელთა მოთხოვნილებანი პირველ რიგში იქნება დაკმაყოფილებული. ამ აზრით დაიბარნენ მასწავლებლები, თუმცა ბევრი ისევ პესიმისტურათ უყურებს ასეთის დაპირებას:

— ჩვენ ხომ შავი მუშები არა ვართ, რომ მალე დაგვაკმაყოფილონ. ერაძე ღმერთმა ჩვენ ცოცხლობს, თურმე ნუ ბრძანებთ: учительскій трудъ непроизводительный труд ი ყოფილა; და როცა ასეთი აზრია გამეფებული მმართველ წრეებში, რა ი ქმა უნდა, რომ მასწავლებლებს არა გვეშველება რა და ისევ ძველს გატეხ ლ გობთან დაგვეოვენ! ჩვენი სურვილია, მასწავლებელთ ასეთი პესიმისტური შეხედულება განიოლების სამინისტროს კეთილ ქომაგობით განეზნიოს და მასწავლებელისთვისაც საშუალო მოვალაქის ცხოვრების უფლება მიენიჭებინოთ საჭირო ულუფის მიმატებით.

ზესტაფონელი.

ღია წერილი.

(ოელავის მაზრის მასწავლებლებს.)

თქვენ უკვე იცით, რომ 27 აგვისტოს ამა წელსა თელ. მაზრის მილიციის უფროსმა ბ-ნა ანდღულაძემ დამატუსაღა: ბრალსა მდებდა ყაჩაღების დაფარვა—შენახვაში—მან ეს საქვეყნოდ განაცხადა ერობის გამგეობის თავჯდომარე ლ. ვახვახიშვილთან, თანაც დასძინა, რომ მე იგი ამას დაუყოვნებლივ დამიმტკიცებდა. ბრალდება, როგორც მოგეხსენებათ, სერიოზულია სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირისთვის—ეს სახელმწიფოებრივი ღალატია, რაიც არ ეპატიება მით უფრო ჩემი თანამდებობის ადამიანს, როგორც სკოლის გამგეს! განა მასწავლებლისთვის ამაზედ დამამცირებელს ბრალდებას ვინ გამონახავს? ჩვენ, მასწავლებლები, რომლებიც დავბადებულვართ სოფლებში, გავზრდილვართ გლეხის ფარაჯის კალთებზედ, ჭირი და ლხინი ხალხისა ჩვენი ჭირი და ლხინიც არის და სოფელში მოვლენილ ყოველ გვარ ბოროტებას შეუპოვრად ვეპრძვით, ბევრს ძვირათაც გვიჯდება ეს ბრძოლა. რამდენი გაჭივრება და შეურაცყოფა უნდა ავიტანოთ ყოველ თითო კულტურულ ნაბიჯის გადასადგმელად სოფელში, მაგრამ ჩვენ ამას არაფრად ვაგდებთ, ოღონდ მიზანს მივაწიოთ იმ დიდი ბოროტობის აღმოსაფხვრელად, როგორც სოფლად ყაჩაღობა და ქურდობა არის. რამდენი წამება გადაუტანია სოფლის მასწავლებელს ჯერ ისევ ნიკოლოზის ხანაში. და აი დღეს სწორედ ამ ბოროტების დამცველად და ხელის შემწყობად გამომიყვანა ბატონ ანდღულაძემ. ეს არ იკმარა,—რომ არა რად გავეხადნე და ძველებური პოლიციური წიხლი ჩაეცა სოფლის მასწავლებლისთვის, მან

ერობის შენობიდან ათი ნაბიჯის �ძილზედ (თავის სამმართველოს) შეიარაღებული მილიციონერით დატყვევებული მიმიყვანა [illegible] ვის" საინკვიზიციო [illegible] ლოში და დამამწყვდია—როგორც საშიშარი არა კეთილი საიმედო პირი რესპუბლიკისა, მაგრამ ორი სამი საათის შემდეგ ამ ქარაშხალმა გადაიარა—ჩემს თავზედ და ანდღულაძემ დამ მეიდებულმა, ვითომ მოულოდნელად ჩემგან ჰპოვა მშვიდი რესპუბლიკის მოქალაქე და თავისუფლება მომანიჭა მეორე დღის 12 საათამდის. ჩქარა მეორე დღესვე გამოიარკვა, რომ მე ვითომდა ჭორების მსხვერპლი გავმხდარიყავი და ბრალდებები ისეთი არ აღმოჩნდა, როგორიც ეგონათ—დღეს მე ვითომ თავისუფალი ვარ.—მაგრამ ეს მე ჭრილობის მალამოდ არ გამომადგება. მე ჩემს თავს ვგრძნობ ბრალდების ქვეშ—რაღაგან ხელში არ მიჭირავს არავითარი საბუთი ჩემი ბრალდების გაბათილებისა. იმის და მიუხედავად, რომ მას წერილობით შემდეგ პირადად და ბოლოს გაზეთის საშუალებითაც შევეკითხე ეფიცა წერილობით პასუხი, რა ბრალსა მდებდა და რა უფლებებით დამატუსაღა. მან ეს არ ისურვა, რისთვისაც იძულებული ვარ საქმის გასაშუქებლათ და ამისთანა მძიმე ბრალდების გასამაართლებლათ სასამართლოს მივმართო. იმედი მაქვს ბ-ნი ანდღულაძე იქ მაინც საჯაროთ განაცხადებს და დაამტკიცებს ჩემს რესპუბლიკის ღალატს, ორმაგ პოლიტიკას ხალხში და სამსახურში.

დასასრულ წრფელს მადლობას გადაგიხდიან ყველა იმ მასწავლებლებს, რომელთაც თელავის კურსებზედ შეკრების დროს შეიტყეთ რა ჩემი დატუსაღების ამბავი, ერთხმად გამოიჩინეთ მოქალაქეობრიობა და გამომესარჩლეთ. აშკარა, მარტო თქვენ შეგეძლოთ ანდღულაძის დაშვებული შეცდომის გასწორება. თქვენ მასწავლებელი არა, სხვა ვერავინ უსაფრთხოებს მოწაფეს შეცდომას. ნუ დაავიწყდებათ ანდღულაძეებისთანა მოსამსახურეებს, რომ სოფლის მასწავლებელსაც ესმის თავისი მოვალეობა, მასშინაჰლვივის თვალსაჩინოთ პატრიოტული გრძნობა.

მაშ ცოდვა არ იქნება, რომ პატარა ზრდილობიანათ და ცოტა ფრთხილად ვეპყრობოდეთ სახალხო მასწავლებელსაც.

ს. ფშაველი **ვ. ლალაქ შვილ.**

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: **სპ. კედია.**

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი.

ი. გ. ჟუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთოხ (საპს) ვიკეთებ ალეინის შეშხაპნებით. ჭიიცვრის სასულე—ილის ავადმყოფობას ვექიმ „ნიმანის და ვესსელის" მეთოდებით ვიძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე" (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 ს.

ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2.

თვ. 42.

სამკურნალო

ელექტრონის რენტგენის და სათლის

მიხეილ ბედევანიშვილისა

დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორლანოვის ქ., 20 ვერაზე. 3102. თ.

მატარებელთა მიმოსვლა

ღვინობისთვის 10-დან 1920 წ.

თბილისიდან გადის.

№ 3 ბათომისაკენ 10 ს. 58 წ. დილ.
ბათომში ჩადის 7 ს. 27 წ. დილ.
№ 9 ფოთისაკენ 5 ს. 34 წ. დილ.
ფოთში ჩადის 10 ს. 45 წ. დილ.
№ 7 ბათომისკენ 10 ს. 28 წ. საღ.
ბათომში ჩადის 5 ს. 52 წ. საღ.
№ 19 ბორჯომისკენ 3 ს. 19 წ. დღ.
ბორჯომში ჩადის 11 ს. 25 წ. დღ.
ხალოღლისკენ 7 ს. 20 წ. დილ.
№ 4 სანაინისკენ 8 ს. დილ.
სანაინში ჩადის 5. ს. საღ.
კახეთისკენ 8 ს. 30 წ. დილ.

თბილისისკენ მოდიან.

№ 10 ფოთიდან 3 ს. 51 წ.
თბილისში მოდის 9 ს. 16 წ. დილ.
№ 4 ბათომიდან 4 ს. 9 წ. ღ.
თბილისში მოდის 1 ს. 1 წ. ღ.
№ 8 ბათომიდან 11 ს. 37 წ. ღ.
თბილისში მოდის 7 ს. 36 წ. ღ.
№ 20 ბორჯომიდან 12 ს. 22 წ. ღ.
თბილისში მოდის 7 ს. 47 წ. დილ.
ხალოღლიდან 12 ს. 10 წ. დ.
№ 4 სანაინიდან 7 ს. 30 წ. დილ.
თბილისში მოდ. 3 ს. 20 წ. ღ.
კახეთიდან თბილისში მოდ 8 ს. 20 წ.